24/12/2021

მსოფლიო პატრიარქის საშობაო ეპისტოლე (2021)

✠ ბართლომეოსი

წყალობითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა – ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი

ეკლესიის სისავსეს მადლი, წყალობა და მშვიდობა ბეთლემში შობილი ქრისტე მაცხოვრისაგან

* * *

თანამწირველნო ძმანო და კურთხეულნო შვილნო,

ისევ მივიწიეთ ჩვენდამი მაღლით გარდამომხილველი ქრისტე მაცხოვრის ხორციელად შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან, და განვადიდებთ მის ზეციურ სახელს ფსალმუნებითა და საგალობლებით. ღმრთის პირველსაუკუნეთა სიტყვის განკაცება ჩვენი ცხონების დასაბამი და ღმრთაებრივ-ადამიანური ზიარების ზესიტყვიერი მარადიული საიდუმლოა. როგორც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი დიდებულად ბრძანებს, ღმერთი „როგორც კაცთმოყვარე, ადამიანის არსებისაგან ჭეშმარიტად გახდა ადამიანი. თუ როგორ გახდა იგი ადამიანი, მუდამ გამოუთქმელად დარჩება, ვინაიდან ზეადამიანურად გახდა ადამიანი“. [1]

საღმრთო განკაცება, ღმრთის შესახებ ჭეშმარიტების გაცხადებასთან ერთად, გამოაცხადებს ადამიანის ჭეშმარიტებასა და მის საბოლოო მიზანს – მადლით განღმრთობას. წმიდა ნიკოლოზ კაბასილა ღმრთისმეტყველურად აცხადებს რომ ქრისტემ „ჭეშმარიტი ადამიანი და მისი მიზანი პირველმა და ერთადერთმა გამოაჩინა“.[2] ამგვარად, ის, ვინც პატივს მიაგებს ღმერთს, მოვალეა, რომ პატივი სცეს ადამიანსაც, და ის, ვინც ამცირებს ადამიანს, უპატიოდ იქცევა ღმთის მიმართ, რომელმაც ჩვენი ბუნება მიიღო. ქრისტეშია ღმრთის შესახებ ღმრთისმეტყველების სიტყვა და მასშივეა ადამიანის შესახებ სიტყვაც. ღმრთის განკაცებული განგებულება საბოლოოდ წარხოცავს დესპოტი, დამსჯელი და ადამიანის მოწინააღმდეგე ღმერთის ხატს. ქრისტე ყველგან, ყოველთვის და ყველაფერში უარყოფს ადამიანის უარყოფას და იცავს მის თავისუფლებას. ეკლესიის ცხოვრება, როგორც ღმრთის განკაცებული ძისა და სიტყვის მიღებული სხეული,[3] წაროაჩენს, გამოხატავს და ემსახურება ღმრაებრივ-ადამიანურობის ამ ყოვლადმაცხოვნებელ საიდუმლოს.

ადამიანის ქრისტეში ახალქმნისა და მთელი შესაქმის განახლების ბაირაღით, ეკლესია დღესაც იძლევა კეთილ მოწმობას იმ ყველა გარემოებათა მიმართ, რომლებიც ადამიანური პიროვნების სიწმიდესა და შემოქმედების სიმრთელეს ემუქრებიან; ეკლესია ღაღადებს და ქადაგებს ნამდვილი სულიერი ცხოვრების ჭეშმარიტებას, სიყვარულისა და სოლიდარობის კულტურას; იძლევა სიტყვას: „თქვენ შორის სასოების“ (შდრ. 1პეტრ. 3, 15) შესახებ; სრულებით არ მიიჩნევს, რომ თანამედროვე კულტურა ახალი, ცოდვიანი ნინევიაა და იონასგან განსხვავებით, არ ითხოვს მასზე ღმრთის მრისხანების მოწევას, არამედ იღწვის მისი ქრისტეში ფერიცვალებისათვის. ჩვენს ეპოქაში საჭიროა სამწყემსო ხედვა, დიალოგი და არა კამათი, ჩართულობა და არა თავის არიდება, კონკრეტული ქმედება და არა განყენებული თეორია, შემოქმედებით მიმღებლობა და არა საყოველთაო უარყოფა. ეს ყველაფერი სულიერებითა და ლიტურგიული ცხოვრების ხარჯზე კი არ მოქმედებს, არამედ წარმოაჩენს საეკლესიო მყოფობისა და მოწმობის ორი განზომილების – ეგრეთწოდებული „ვერტიკალისა“ და „ჰორიზონტალის“ განუყოფელ ერთობას. ეკლესიის გარდამოცემის სარწმუნოობა წარსულზე მიჯაჭვა კი არაა, არამედ წარსულის გამოცდილების აწმყოში ჯეროვნად შეფასება.

კაობრიობა მიმდინარე წელსაც გატანჯა კოვიდ19-ის ვირუსულმა პანდემიამ. ვადიდებთ მოწყალების ღმერთს, რომელმაც გააძლიერა სპეციალისტები და მეცნიერები, რომ კრიზისის დასაძლევად შედეგიანი ვაქცინები და სხვა წამლები შეექმნათ; ჯერ კიდევ აუცრელ მორწმუნეებს მოვუწოდებთ, რომ აიცრან და ყველამ მისდიოს სანიტარული უწყებების მიერ რეკომენდირებულ თავდაცვით ზომებს. მეცნიერება, თუკი იგი ადამიანს ემსახურება, ღმრთის ძვირფასი საჩუქარია. გვმართებს მადლიერებით მივიღოთ ეს საჩუქარი და უცოდინართა, თვითმარქვია „ღმრთისაგან მოვლენილებად“ და „ჭეშმარიტი სარწმუნოების სულიერ მრჩეველთა“, სინამდვილეში კი მოყვასის

სიყვარულის არქონის გამო თვითგანადგურებულთა უპასუხისმებლო ჭორებით არ წავირთვათ სიცოცხლე, რომელსაც დიდ საფრთხეს უქმნიან ისინი.

უძვირფასესო ძმებო და უსაყვარლესო შვილებო,

იმ მყარი რწმენით, რომ თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებასა და მთელი კაცობრიობის მსვლელობას სიბრძნისა და სიყვარულის ღმერთი მიუძღვება, ველოდებით ახალ, ბედნიერ 2022 წელს, რომელიც მიუხედავად არსებული ვითარებებისა და გარემოებებისა, ყოველი ჩვენგანისათვის საცხოვნებელი წელი იქნება, ვინაიდან ამ წლის მოვლენათა მსვლელობასაც კაცთმოყვარე და ყოველივეს განმგებელი ქრისტე წარმართავს, „რომელსაც ნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლა“ (1 ტიმ. 2, 4).

უფლის სათნოჩენით, მომავალი წლის წმიდა და დიდ შვიდეულში, ჩვენს ყოვლადპატიოსან ცენტრში – საპატრიარქოში – ჩატარდება წმიდა მირონის კურთხევის მსახურება. ჩვენი სიმდაბლის მიმართ ღმრთის განუმეორებელ წყალობად მივიჩნევთ, რომ ჩვენი პატრიარქობის განმავლობაში მეოთხედ ჩავატარებთ ამ სადღესასწაულო მსახურებას. დიდება ღმერთს ყველაფრისათვის!

ამ განცდებით, ღმრთისმოშიშებით ვცემთ თაყვანს ბეთლემში შობილ ჩვილ იესოს, მივაპყრობთ ჩვენს ყურადღებას იქაური ქრისტიანი ძმებისაკენ და ვლოცულობთ წმიდა მიწაზე ყოველი მცხოვრების მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაარსებობისათვის.

თითოეულ თქვენთაგანს, ახლობლებსაც და შორეულებსაც, გისურვებთ კურთხეულ თორმეტდღეულს და ჯანმრთელ, ნაყოფიერ, კეთილი საქმეებითა და საღმრთო წყალობით აღსავსე ახალ წელს უფლის სიტკბოებისა, რომლისაც არის დიდება და სიმტკიცე დაუსრულებელი საუკუნეების მიმართ. ამენ.

ქრისტეშობა 2021

✠ ბართლომეოს კონსტანტინოპოლელი

ყველა თქვენგანისთვის მხურვალედ მლოცველი წინაშე ღმრთისა

———

[1] მაქსიმე აღმსარებელი, სათნოებისა და ბოროტების შესახებ, (Diversa, ასეული I,12) 12. PG 90. 1184.

[2] ნიკოლოზ კაბასილა, ქრისტეში ცხოვრების შესახებ, PG 150. 680–681.

[3] იოანე ოქროპირი, ქადაგება გადასახლების წინ, PG 52. 429.

wenews.ge